ცხადდება კონკურსი ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის არჩევა

უნივერსიტეტი	**ხაენის უნივერსიტეტი (ესპანეთის სამეფო)**
სამიზნე ჯგუფი	ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის მართვაში ჩართული გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	თსუ-ს წარდგენა ხაენის უნივერსიტეტის ინსტიტუციური პარნიორობის გაფართოების პერსპექტივების განხილვის კვირეულზე თსუ-სა და ხაენის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის დაწყების მიზნით
თემატიკა	ევროპული საუნივერსიტეტო ალიანსები, ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაცია, ERASMUS+ ICM პროგრამა
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**CIP FP Valle De Elda (ესპანეთის სამეფო)**
სამიზნე ჯგუფი	თსუ-ს ენათა ცენტრის ხელმძღვანელი პირებისთვის (დირექტორი, დირექტორის მოადგილე)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	მონაწილეობა პერსონალის საერთაშორისო კვირეულში (19-25 მაისი, 2025წ.)
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**სევილიის უნივერსიტეტი (ესპანეთის სამეფო)**
სამიზნე ჯგუფი	იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილე) რელევანტური ცენტრის/ინსტიტუტის ხელმძღვანელი/დირექტორი (იხილეთ ვიზიტის მიზანი)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	სამართლის მიმართულებით თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროზე და კერძო სამართლის შესაბამის ასპექტზე ფოკუსირებით
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**პალაცკის უნივერსიტეტი ოლომოუცში (ჩეხეთის რესპუბლიკა)**
სამიზნე ჯგუფი	- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე) - ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის თანამშრომლები (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი) - სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული აკადემიური პერსონალი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	მონაწილეობა პერსონალის საერთაშორისო კვირეულში (ვირტუალური ნაწილი - 19-23 მაისი, ფიზიკურად დასწრებითი ნაწილი - 2-6 ივნისი 2025წ.)
თემატიკა	Diversity, Inclusion, Equity and Belonging (IDEB) Intercultural diversity of individuals, inclusion practices for neurodivergent individuals (including, among others ADHD, autism, dyslexia, and Tourette syndrome) and support centre for individuals with special needs
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**კოიმბრას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია)**
სამიზნე ჯგუფი	- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის/სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე) - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები (ცენტრალურ ან/და საფაკულტეტო დონეზე)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მიზანი	მონაწილეობა პერსონალის საერთაშორისო კვირეულში (19-25 მაისი, 2025წ.)
თემატიკა	კვლევისა და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

<u>ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:</u>

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>**სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:**</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. *საფაკულტეტო დონის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შემთხვევაში,* რეკომენდაციის წერილი (ინგლისურ ენაზე), რომელიც გაცემული უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანის მიერ
4. CV **ინგლისურ** ენაზე;
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე (დანართი 1), რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს იმ ერთეულის ხელმძღვანელის მიერ (*საფაკულტეტო დონის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შემთხვევაში, დეკანი)*, სადაც აპლიკანტია დასაქმებული

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული რელევანტური მიმართულების ადმინისტრაციულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge **მიმდინარე წლის 4 მარტის 14 საათამდე (თბილისის დროით)!** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.

!! გასაუბრება ჩატარდება 2025 წლის 5 მარტს, ცოცხალ რეჟიმში

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge